თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 4345949

გაცემის თარიღი: 23/01/2019

გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1655707
შემოსვლის თარიღი: 16/01/2019
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:
-

ნომენკლატურა :

- **საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა**
- **ასლის - ზოგადი ინფორმაციის გამოთხოვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ზვიად ხაჩიძე პ/ნ 01009002508
- მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 3 კვ. 18 038

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1655707 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, #01.20.01.008.051 საკადასტრო ერთეულზე სამსახურის მიერ 2012 წლის #01/63 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ასლს და ელექტრონულ ვერსიას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახური ამ ეტაპზე ტექნიკურად მოკლებულია შესაძლებლობას დაგიმზადოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი 2012 წლის #01/63 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ასლი (დიდი ფორმატის გამო).

ამასთან გამოვთქვამთ მზადყოფნას სამსახურის წარმომადგენლის თანხლებით თქვენს მიერ შესაბამის კერძო კომპანიასთან შეთანხმების საფუძველზე მოხდეს 2012 წლის #01/63 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ასლის გადაღება.

განაცხადში დაფიქსირებული მოთხოვნის თანახმად გიგზავნით, ქ. თბილისში, #01.20.01.008.051 საკადასტრო ერთეულზე, სამსახურის მიერ შეთანხმებული 2012 წლის #01/63 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ელექტრონულ ვერსიას.

დამატებით გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 2 ლარის და 65 თეთრის ოდენობით.

აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
დანართი: 1 CD.
1.მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2.მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3.ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6.გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი 2 ლ. და 65 თ.(#AR1655707 16.01.2019წ.)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი